25/05/2026

MES 9 26 0000623564

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.05.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (I, II საკითხები)
სხდომის თავმდჯომარე: ვასილ გონაშვილი (III საკითხი)
საბჭოს მდივანი: ზურაბ ქავთარია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2026 წლის 08 მაისს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ვასილ გონაშვილი** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ- საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე - საბჭოს მდივანი;
4. **ივანე აბაშიძე** - სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
5. **ნათია ჯოჯუა** - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

6. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ- ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
8. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ციური დურული** - სსიპ- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **ლევან ვეფხვაძე** - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
11. **ნინო მინდიაშვილი**- შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
13. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ- ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
15. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. **გვანცა ძიძიგური -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ტრისტან გულბიანი-რექტორი;
- ჯემალ ძაგანია- ვიცე-რექტორი;
- მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მერაბ მეტრეველი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- ანა აბისონაშვილი-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
- ქეთევან ბერიძე - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- კახაბერ ხვედელიძე - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი;
- ნინო ძაგანია-მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანი;
- მარიამ პაპიაშვილი - მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნანა შაშიაშვილი - სპორტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ვასილ ლიპარტელიანი - სპორტის მენეჯმენტის და ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი;

- მაგდანა ბზიკაძე - ასოცირებული პროფესორი.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

- ნინო ტორონჯაძე - უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი;
- ზაზა რუხაძე - უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში;
- ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;
- ნონა ზუმბაძე - ხარისხის აუდიტი;
- ანა გვრიტიშვილი - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ნინო ჯოჯუა - რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით;
- თეა კბილცეცხლაშვილი - კვლევებისა და საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

- მილან პოლი Milan Poll;
- დავით სიხარულიძე;
- დიანა მჭედლიშვილი;
- ხათუნა საგანელიძე;
- სოსო გაზდელიანი;
- გიორგი ფაღავა;
- ნინო ფარსადანიშვილი;
- ნათია გეგელაშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I და II საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო III საკითხის განხილვას ვასილ გონაშვილმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (სასწავლო ფართის დამატების საკითხი);
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (სასწავლო ფართის დამატების საკითხი);
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- **არა**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საკითხის ზეპირი მოსმენა:
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მილან პოლმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი კარგად ჩამოყალიბებული დაწესებულებაა ყველა ასპექტში. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა ისეთი გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ექსპერტების სურვილი იყო, რომ ის ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა, რაც აქვს დაწესებულებას მალე შესრულდეს და სპორტის მიმართულება აქტიურად იყოს განვითარებული, რა თქმა უნდა, ეს მიმდინარე პროცესია და ამის შედეგები ძალიან მალე გამოჩნდება.

ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ უნივერსიტეტი სრულ შესაბამისობაშია პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან. ეს სტანდარტები უშუალოდ მოიცავს როგორც სტრატეგიულ, ისე ადმინისტრაციულ და ადამიანური რესურსების მიმართულებას. მეორე, მეხუთე და მეშვიდე სტანდარტებთან უნივერსიტეტი მეტწილ შესაბამისობაშია. ეს ეხება ორგანიზაციულ სტრუქტურას, მართვას, სტუდენტთა მხარდაჭერასა და მათ განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა ჩამოაყალიბა, ამასთან გამოიკვეთა კარგი მაგალითი.
პირველი რეკომენდაცია ეხება მესამე მისიის გაძლიერებასა და დოკუმენტში გათვალისწინებას. ასევე, რეკომენდაცია ეხებოდა გარკვეულ განახლებებს ბიზნეს უწყვეტობის გეგმასთან მიმართებით. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო საერთაშორისო კუთხით ამ მიმართულებების გაძლიერება და მობილობის შესაძლებლობები. რეკომენდაციები ეხებოდა ისეთ საკითხებსაც, რომელიც გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას და მეტ ინფორმირებულობას ცალკეულ აკადემიურ, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, ასევე ხელოვნურ ინტელექტსა და ციფრულ რესურსებს. რეკომენდაცია გაიცა კურიკულუმთან მიმართებითაც, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს გადახედვასა და მათ მწყობრში მოყვანაზე, ასევე ყურადღება გამახვილდეს პროფესიულ განვითარებაზე აკადემიური პერსონალის მხრიდან. სტუდენტთა მხარდაჭერის კუთხით რეკომენდირებულია, რომ შეთავაზებული იქნას ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი. რეკომენდირებული არის სტუდენტებს შორის ისეთი კომპეტენციების განვითარება, რომელიც ეხება საერთო გრანტების მოძიებას და ექსპერტებმა შეთავაზეს შიდა გრანტების დანერგვა და ერთგვარი წახალისება აკადემიური კუთხით. ინფრასტრუქტურა მეტნაკლებად განვითარებულია დაწესებულებაში, თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურა აუცილებელია, ამასთან უკეთ უნდა იყოს აღჭურვილი და მოწყობილი საბიბლიოთეკო სივრცე. აღინიშნა, რომ რეკომენდაციები არსებით საკითხებს არ მოიცავდა. საუკეთესო პრაქტიკა გამოვლინდა დაწესებულებაში, რაც გულისხმობს ვეტერანთა სპორტის წახალისების ინიციატივას, რომელიც ექსპერტების მხრიდან ძალიან დადებითად შეფასდა. უნივერსიტეტი წარმოდგენილია დამაჯერებელი პოზიციით ყველა ასპექტში და ექსპერტები საბოლოო ჯამში, თანხმობას აცხადებენ ინსტიტუციისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის იყო კარგი შესაძლებლობა გარე შემფასებლის თვალით დაენახა გასაძლიერებელი ასპექტები. დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს და იაზრებს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ დაწესებულების და პროგრამების განვითარებისთვის არის განსაზღვრული. რიგ საკითხებში უკვე მყისიერად დაწყებულია პარტნიორების მოძიება და ხელშეკრულებების გაფორმება. ის ინფრასტრუქტურული ასპექტები, რაც ძირითად პრობლემას წარმოადგენს, მალე დარეგულირდება და გასწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრს, ნინო ჩინჩალაძეს აინტერესებდა რა მდგომარეობაში იყო უნივერსიტეტის შენობის საკითხი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ძაგანიამ აღნიშნა, რომ მეექვსე წელია არასტაბილურად უწევთ ფუნქციონირება ლოკაციის მხრივ და ხშირად უწევს უნივერსიტეტს ადგილმდებარეობის შეცვლა. ამ ეტაპზე დაწესებულებას დიღმის ტერიტორიაზე აქვს გამოყოფილი ადგილი, 13 ათასი კვ. მ, რომლის დაპროექტებაც მიმდინარეობს. 2-3 თვეში დაიწყება მშენებლობა და 2028 წლისთვის დასრულებული იქნება, სადაც იქნება სრულყოფილად აღჭურვილი ინფრასტრუქტურა. 10 000 კვ. მ-ის ფართის 5 სართულიანი შენობა იქნება, სადაც მოთავსებული იქნება 8 დარბაზი და 2 ღია მოედანი

ჩოგბურთისა და ფეხბურთისათვის. რაც შეეხება ქვოტის მოთხოვნას 1400-დან 2200-მდე, წელს 2600-მდე აბიტურიენტია დარეგისტრირებული პროგრამაზე და სულ 350 ადგილია გამოყოფილი. ამასთან, რაც ყველაზე მთავარია, უნივერსიტეტს აქვს მეტი სტუდენტის მიღების საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ 2.2 სტანდარტთან მიმართებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. კერძოდ, რეკომენდებულია, ნებისმიერი გაფართოების დამტკიცებამდე უნივერსიტეტმა შესაბამისად გაზარდოს ადამიანური, ინფრასტრუქტურული და აკადემიური რესურსები. მას აინტერესებდა ექპერტთა ჯგუფის პოზიცია ამ საკითხზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერები გამოიწვია იმან, რომ სტაბილურად არ აქვს უნივერსიტეტს ინფრასტრუქტურა, ასევე მოხდა რეფორმა, რომლის ფარგლებშიც ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის განხორციელების უფლება ჩამოერთვათ და განიცადა პროგრამამ მოდიფიკაცია. ამ ეტაპზე პროგრამამ უნდა გაიაროს ხელახალი აკრედიტაცია, ვინაიდან ახალი შინაარსი და ახალი სწავლის შედეგები გაჩნდება. შესაბამისად მოხდება ახალი აკადემიური გუნდის დაკომპლექტება. შესაბამისად ამ მიმდინარე პროცესებმა, რომელსაც მოუსწრო ავტორიზაციის პროცესს. აქედან გამომდინარე გაჩნდა რეკომენდაცია, თუმცა უნივერსიტეტი მზად არის, რომ მიიღოს მეტი კონტინგენტი, ვინაიდან მოთხოვნა მაღალია და ამავდროულად დაამატა დაწესებულებამ სხვა მიმართულებებიც, სადაც საკმაოდ დიდია მოთხოვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ 6.2 სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულებას მიმართა კითხვით. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დანერგოს შიდა სამეცნიერო გრანტების მექანიზმი. მას აინტერესებდა არსებობდა თუ არა ეს მექანიზმი უნივერსიტეტში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ძაგანიამ აღნიშნა, რომ დოკუმენტი არსებობს და დაწესებულება სისტემატურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა პროექტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ 7.1 სტანდარტთან მიმართებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს მათ თავისუფალ და დამოუკიდებელ გადაადგილებას კამპუსის ნებისმიერ სივრცეში. მას აინტერესებდა რეკომენდაციის გაჩენის მიზეზი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არის სპეციალური ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, თუმცა ის არის გასაუმჯობესებელი, რადგან რაც არსებობს, იმას ვერ გამოიყენებს შეზღუდული შესაძლებლობის პირი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ირიცხება ფიზიკური აქტივობის მქონე პირი, შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტი დაწესებულებაში ვერ ჩაირიცხება. რაც შეეხება თანამშრომლებს, მათთვის უნივერსიტეტი შეძლებს შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ 7.2 სტანდარტის მიხედვით, დასკვნაში რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მეტი რესურსი დაუთმოს საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოებას, რათა ის აკმაყოფილებდეს ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს. მას აინტერესებდა აკმაყოფილებდა თუ არა ამ მოთხოვნას დაწესებულება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ძაგანიამ აღნიშნა, რომ მინიმალურ დონეს, რა თქმა უნდა, აკმაყოფილებს. ციფრულ სამყაროში ბიბლიოთეკას ნაკლებად მიმართავს სტუდენტი, ამიტომ ყველა წიგნის ელექტრონული ვერსია ატვირთულია ვებგვერდზე.

საბჭოს წევრმა, ნინო მინდიაშვილმა აღნიშნა, რომ 6.3 სტანდარტში რეკომენდებულია, გაძლიერდეს შეფასების მექანიზმები; კერძოდ, შემუშავდეს დეტალური შეფასების რუბრიკა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო პუბლიკაციების ქულათა დიფერენცირების კრიტერიუმებს. მას ამასთან დაკავშირებით ექსპერტების პოზიცია აინტერესებდა, რადგან ჩანაწერი იყო ბუნდოვანი.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ მექანიზმები არსებობს და მასში მოცემულია გარკვეული ინდიკატორი, თუმცა არ არის ის ინდიკატორი, რომელიც ემსახურება სამეცნიერო პროდუქტის ხარისხის განვითარებას, როგორიცაა გამოქვეყნებები სამეცნიერო ჟურნალებში. აქედან გამომდინარე დაფიქსირდა რეკომენდაცია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ ამ რეგულაციას ახლავს დანართი, სადაც პირველ რიგში, ქულებია მინიჭებული მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების, კონფერენციებში, სამეცნიერო სახელმძღვანელოს გამოცემის და ა.შ. ყოველწლიურად თვითშეფასების ფორმას ავსებს ყველა აკადემიური პერსონალი, სადაც პირველი არის აკადემიური საქმიანობის ჩამონათვალი თავისი ქულებით და შემდეგ დანარჩენი საჭირო ინფორმაცია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯემალ ძაგანიამ აღნიშნა, რომ სასწავლებელი ახორციელებს უმაღლესი განატლების პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებს, შესაბამისად, ისეთი აქცენტი ვერ კეთდება სამეცნიერო მუშაობაზე, როგორიც ეს საჭიროა 3 საფეხურიან სასწავლებლებში. მაგრამ მიუხედავად ამისა 20-მდე პედაგოგი სისტემატურად აქვეყნებს ნაშრომებს ჟურნალებში და დაახლოებით 50/60 H ინდექსი აქვთ მოპოვებული.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს რეგულაციები ხელოვნური ინტელექტის სათანადო და ეთიკური გამოყენების შესახებ და მოაწყოს შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრები და სასწავლო ტრენინგები როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით. მას აინტერესებდა, რა საკანონმდებლო ნორმებს უნდა დაეყრდნოს დაწესებულება, ეს რომ შეინარჩუნოს.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული რეგულაცია არ არსებობს, ამიტომ უნდა განიხილონ პერსონალთა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს ჩადებული შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში, რათა გამოყენებულ იქნას ტექნიკური დოკუმენტების შემუშავებისთვის. ვინაიდან გასაუბრების დროს ვერ მოესწრო დოკუმენტაციის ინგლისურად თარგმნა. ექსპერტის განმარტებით ხელოვნული ინტელექტი გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული საქმისწარმოებაში, ისე აკადემიურ საქმინობაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:46 საათი.
დასრულების დრო: 14:52 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების (უნივერსიტეტი), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 205304357) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600-ით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მომავალ სტრატეგიულ დოკუმენტებში გაითვალისწინოს მესამე მისიის გაძლიერების შესაძლებლობა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სრულყოფილი, მკაფიო ინგლისურენოვანი ვერსიების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განაახლოს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, განსაზღვროს განხორციელების კონკრეტული ვადები და მკაფიოდ გაწეროს სასწავლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვის მექანიზმები. რეკომენდებულია, განახლებულ გეგმაში იდენტიფიცირებული იყოს პოტენციური აკადემიური რისკები, მათი პრევენციისა და მინიმიზაციის ღონისძიებები, აგრეთვე მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და გააფართოოს მობილობის შესაძლებლობები როგორც მასშტაბის, ისე მრავალფეროვნების თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მოთხოვნა შეუსაბამოს საკუთარი შესაძლებლობების რეალური კალკულაციის შედეგებს. რეკომენდებულია, ნებისმიერი გაფართოების დამტკიცებამდე უნივერსიტეტმა შესაბამისად გაზარდოს ადამიანური, ინფრასტრუქტურული და აკადემიური რესურსები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს და გადაამუშაოს დისტანციური სწავლების მარეგულირებელი დოკუმენტი, რათა უზრუნველყოს მისი სრული შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოსთან. რეკომენდებულია, დოკუმენტში მკაფიოდ გაიმიჯნოს დისტანციური სწავლების დასაშვები ფორმები და გამოცდების სავალდებულო სააუდიტორიო ფორმატი, რაც გამორიცხავს ნებისმიერ გაურკვევლობას და სამართლებრივ წინააღმდეგობას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გადახედოს დოკუმენტებს ორივე ენაზე და გამოასწოროს გამოვლენილი შეუსაბამობები, რათა უზრუნველყოს შინაარსის სიზუსტე, თანმიმდევრულობა და ორენოვან ვერსიებს შორის სრული შესაბამისობა. 2.3
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად გამართოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები, საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები სტუდენტებისთვის აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს რეგულაციები ხელოვნური ინტელექტის სათანადო და ეთიკური გამოყენების შესახებ და მოაწყოს შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრები და სასწავლო ტრენინგები როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით. 3.2
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სრული შესაბამისობა პრაქტიკაში გამოყენებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებსა და სილაბუსებში ფორმალურად აღწერილ მეთოდებს შორის. სწავლების ფორმატში ნებისმიერი ცვლილება (მაგ., საკონტაქტო სწავლებიდან ონლაინ ან შერეულ ფორმატზე გადასვლა) მკაფიოდ უნდა აისახოს შესაბამის კურსის სილაბუსებში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში და რელევანტურ მარეგულირებელ დოკუმენტებში, გამჭვირვალობის, თანმიმდევრულობის და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით.
- რეკომენდებულია, პროგრამის სახელწოდების შეცვლისას საფუძვლიანად გადაიხედოს კურიკულუმი, სწავლის შედეგები და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს განახლებულ პროგრამის პროფილთან სრულ შესაბამისობას, და ასევე შიდა რეგულაციებთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან უწყვეტ თავსებადობას. 4.1
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, რაც გულისხმობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში კომპეტენციების გაძლიერებას, პრაქტიკაში ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობას და პერსონალის უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას. 5.1
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურად უზრუნველყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი სამართლებრივი და ეთიკური ნორმების, პროცედურებისა და წესების შესახებ. 5.2
- სასწავლო გარემოსა და სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია სტუდენტური სივრცეების მოწყობისა და სათანადოდ აღჭურვის პროცესის დროულად დასრულება.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტში ფუნქციონირებდეს სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ცენტრი, სადაც სტუდენტები შეძლებენ შესაბამისი კონსულტაციების მიღებას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს მათი შესაძლებლობა მოიზიდონ დაფინანსება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი ფონდებიდან.
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დანერგოს შიდა სამეცნიერო გრანტების მექანიზმი.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს შეფასების მექანიზმები; კერძოდ, შემუშავდეს დეტალური შეფასების რუბრიკა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო პუბლიკაციების ქულათა დიფერენცირების კრიტერიუმებს. შეფასების სისტემა უნდა მოიცავდეს სამეცნიერო საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებსაც, მათ შორის კონფერენციებში მონაწილეობას, საგრანტო პროექტების მართვას, სახელმძღვანელოების გამოცემას და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობას. რეკომენდებულია, განისაზღვროს შეფასების შედეგების პრაქტიკულად გამოყენების მექანიზმები, მათ შორის კონკრეტული ღონისძიებები და წამახალისებელი ზომები როგორც მაღალი, ისე დაბალი პროდუქტიულობის მქონე პერსონალის მიმართ. რეკომენდებულია, დაინერგოს აპელაციის ოფიციალური პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის უფლებას, დადგენილი ვადებისა და პროცედურების ფარგლებში გაასაჩივროს შეფასების შედეგები.

- რეკომენდებულია, შექმნას სპეციალური დასასვენებელი სივრცე და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი ზონა, აგრეთვე განახლდეს ლაბორატორიული აღჭურვილობა დარგის სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს მათ თავისუფალ და დამოუკიდებელ გადაადგილებას კამპუსის ნებისმიერ სივრცეში.
- რეკომენდებულია, სპორტულ დარბაზებში დაინერგოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მეტი რესურსი დაუთმოს საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოებას, რათა ის აკმაყოფილებდეს ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ბიუჯეტში მკაფიოდ განისაზღვროს საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისთვის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის და პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ხარჯები.

საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა უნივერსიტეტის შუამდგომლობა აღნიშნული გადაწყვეტილებ ის ძალაში 2026 წლის 08 მაისს შესვლის თაობაზე.

მეორე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა (სასწავლო ფართის დამატების საკითხი);

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ შემოწმდა ერთი (მე-7) სტანდარტი და განისაზღვრა მხოლოდ ერთი რჩევა ეხებოდა საექთნო კაბინეტს, სადაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც ცხელი, ისე ცივი წყალი. საექთნო კაბინეტის გვერდით არსებობს, თუმცა ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ თვითონ საექთნო კაბინეტშიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის ეს შეფასება არ ყოფილა მხოლოდ ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის

შეფასება, რადგან არსებული შენობა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით აიგო მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის და ისინი ამ ფართის დამატებასთან არსებულ ყველა საკითხთს უყურებდნენ მმართველობის კუთხიდან, ასევე სერვისების საკითხბთან დაკავშირებდნენ და მათი მოსაზზრებით ავტორიზაციის ყველა სტანდარტი, რომლიც პირდაპირ თუ ირიბად ეხება განსახილველ საკითხს, მთლიანად აკმაყოფილებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარეს, სერგო ჭელიძეს აინტერესებდა თუ აპირებდა რჩევის გათვალისწინებას დაწესებულება.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რჩევა უკვე გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:57
დასრულების დრო: 15:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 5
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

მესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა(ნენ) თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ვასილ გონაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში. დაწესებულების მხრიდან განმარტება გაკეთდა ყველა იმ კომენტარსა და კითხვაზე, რაც ექსპერტებს ჰქონდათ. ზოგადი შეფასებით დასკვნა არის პოზიტიური. შეფასდა 1.2, 2.2, 3.1, 3.3, 4.1, 4.2, 5.2, 7.1 და 7.2 ქვესტანდარტები. დაწესებულებამ შეასრულა ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო წინა ავტორიზაციის დროს. ინსტიტუცია გაძლიერდა ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ლუკა კავთელიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:10

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79^1-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო